

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი      ბ ა რ ა თ ი  
"საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"  
საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის" თანახმად, პირველი რიგის ამოცანად განისაზღვრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის დახვეწის აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა პირველ რიგში მიმართულია ოფიციალური დოკუმენტების ბრუნვის (შედგენის და გამოყენების) დადგენილი წესის წინააღმდეგ, რითაც ზიანს აყენებს მთლიანად მმართველობის წესს, იგი იმავდროულად წარმოადგენს სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა, მათ შორის ადამიანით ვაჭრობის, წადენის საშუალებასაც, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში ადამიანით ვაჭრობა სწორედ ოფიციალური დოკუმენტების გაყალბების მეშვეობით ხორციელდება.

სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის დღეს არსებული რედაქცია ითვალისწინებს ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენებისათვის ჯარიმის ან ექვს თვემდე ვადით ტუსაღობის გამოყენებას. იგივე ქმედების არაერთგზის განხორციელების ან ამ ქმედებით მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში კი- სამ წლამდე ვადით თავისუფლების შეზღუდვის ან ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

საქართველოში დღეს პრაქტიკულად არ არსებობს ტუსაღობის და თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობა, რის გამოც სასამართლოები ხშირ შემთხვევაში იძულებულნი არიან დამნაშავე პირთა მიმართ გამოიყენონ ჯარიმა ძირითადი სასჯელის სახით, რაც არ შეესაბამება წადენილი ქმედების სიმძიმეს, არაეფექტურს ხდის აღნიშნულ მუხლს და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ფუნქციონირებას პრინციპს დანაშაულის და სასჯელის თანაზომიერების, სასჯელის სამართლიანობის შესახებ.

წარმოდგენილი ცვლილებებით გათვალისწინებულია სასჯელის გამკაცრება. კერძოდ, ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენებისათვის ჯარიმის ან ექვს თვემდე ვადით ტუსაღობის გამოყენებასთან ერთად ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის შემოღება.

აღნიშნული ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე არაერთხელ იქნა მითითებული საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში, უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხში საქართველოს კანონმდებლობის მსოფლიო გამოცდილებასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას, აღნიშნული ქმედებისათვის ზოგადპრევენციული ფუნქციის განხორციელებას.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია პარლამენტის წევრი ლალი ყაფიაშვილი.